



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 34
04/09/2020

34-04-4-202009041352



ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს ადგილები, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

3. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

4. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატები (სააგიტაციო მასალები) შემდეგი ზომით: სიგრძე 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატით).

5. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) განთავსებისას შესაბამისი საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაევალოს სათანადო ადმინისტრაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

6. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

7. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 აგვისტოს №77 განკარგულება.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

